განცხადება შესყიდვის ელექტრონული პროცედურის ჩატარების შესახებ

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული პროცედურა
შემსყიდველი	შპს „საქართველოს მელიორაცია“
დაფინანსების წყარო	2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	10847.00 ლარი
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
სპეც.წესის საქონლის კოდი - 4	
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	43 ლარი

შემტბორავი ფარის შესყიდვის ელექტრონული პროცედურის

დოკუმენტაცია

სავარაუდო ღირებულებაა 10847.00 (ათი ათას რვაას ორმოცდა შვიდი ლარი და 00 თეთრი) ლარი

სპეც.წესის საქონლის კოდი - 4

დაფინანსების წყარო - 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

წინამდებარე დოკუმენტაცია შედგენილია 2017 წლის 13 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N429 დადგენილებით დამტკიცებული „შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის“ საფუძველზე.

ქ. თბილისი

2018 წ.

დოკუმენტაცია, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი
წინადადება და მისი შევსების წესი

1. დოკუმენტაცია

1.1 დოკუმენტაცია არის დოკუმენტთა პაკეტი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, პროცესის და შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების თაობაზე.

1.2 დოკუმენტაცია მოიცავს:

1.2.1 წინადადების ფასს და ფასების ცხრილს (დანართი №1).

1.2.2 საქონლის მიწოდების ვადებსა და ადგილს (დანართი №2).

1.2.3 ანგარიშსწორების პირობებს და ვადებს (დანართი №3).

1.2.4 ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

1.2.5 საგარანტიო პირობებსა და ვადებს (დანართი №5).

1.2.6 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმას (ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან).

1.3 მონაწილე პრეტენდენტის წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია, შედგენილ უნდა იყოს ქართულ ენაზე (თუ დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი წინადადება

2.1 პრეტენდენტის წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

2.1.1 წინადადების ფასისა და ფასების ცხრილის შევსებულ ფორმას (დანართი №1);

2.1.2 თანხმობას დოკუმენტაციით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების გრაფიკსა და ადგილზე (დანართი №2);

2.1.3 თანხმობას დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე და ვადებზე (დანართი №3);

2.1.4 ტექნიკური პირობების შევსებულ ცხრილის ფორმას (დანართი №4);

2.1.5 საგარანტიო პირობებისა და ვადების შევსებულ ცხრილის ფორმას (დანართი №5);

2.1.6 წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია.

წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია, პრეტენდენტის მიერ წარდგენილი უნდა იქნას ელექტრონული სისტემის მეშვეობით, პრეტენდენტის მიერ თავდაპირველად სისტემაში სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტებთან ერთად.

წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტიის ვადა განისაზღვრება წინადადების წარდგენიდან 120 კალენდარული დღის ვადით.

წინადადების უზრუნველყოფის არანაკლებ 1%-იანი საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ.

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტს წინადადების ვადის დასრულების დროისთვის არ ექნება მოთხოვნათა სრული დაცვით ატვირთული წინადადების 1 (ერთი) პროცენტიანი გრანტია, პრეტენდენტის შეთავაზება არ განიხილება და კომისიას შეუძლია მიმართოს წინადადების ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს.

2.2 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია ერთიანობაში წარმოადგენს პრეტენდენტის წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის მიერ წინადადების შეთავაზებისას.

2.3 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი წინადადება.

2.4 წინადადების საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები *(მათ შორის დღგ - თუ განცხადებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული)*.

2.5 წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.6 წინადადების დანართი №1-ით წარმოდგენილი წინადადების საერთო ფასი (წარმოდგენილი, როგორც ციფრობრივად ასევე სიტყვიერად) უნდა შეესაბამებოდეს პრეტენდენტის მიერ წინადადების წარმოდგენისას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ პირველად ფასს.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების შევსების წესი

3.1 წინადადების ფასის და ფასების ცხრილის ფორმა (დანართი №1).

- დანართი №1-ში იწერება - დანართის შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, შემოთავაზებული წინადადების საერთო თანხა (როგორც ციფრობრივად ასევე სიტყვიერად), ფასების ცხრილის ერთეულის ფასი და საერთო ფასი (საერთო ფასი ტოლია ერთეულის ფასი (საქონელი და ტრანსპორტირება ჯამში) გამრავლებული რაოდენობაზე), პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დაუშვებელია დანართ №1 -ში სხვა რაიმე პუნქტის, ველისა და ა.შ. დამატება.

3.2 თანხმობა დოკუმენტაციით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების გრაფიკსა და ადგილზე (დანართი №2).

- ივსება მხოლოდ პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭედს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.3 თანხმობას დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი №3) და ვადებზე, თუ დანართი №3 -ით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

- დანართი №3 -ში იწერება - დანართის შევსების თარიღი, პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, განსხვავებული ანგარიშსწორების პირობა და ვადა უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების მინიმალურ მოთხოვნებს.

3.4 ტექნიკური პირობების შევსებულ ცხრილის ფორმას (დანართი №4);

- პრეტენდენტმა უნდა შეავსოს ტექნიკური პირობების მე-4 სვეტი;
- მე-4 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა, კომპანია.

- პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.5 საქონლის საგარანტიო პირობებისა და ვადების შევსებული ფორმა (დანართი №5);

- პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს შემოთავაზებული საქონლის საგარანტიო პირობა და ვადა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს;
- პრეტენდენტის დასახელება, პასუხისმგებელი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი.
- პასუხისმგებელი პირი შევსებულ ფორმაზე აწერს ხელს და ამოწმებს საწარმოს ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.6 სხვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსების წესი განისაზღვრება დამატებით მოთხოვნებში.

3.7 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია:

3.7.1 **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი არ გამოიყენება.**

შენიშვნა:
იმ შემთხვევაში, თუ ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტის პროფილის ველში არ არის სრულად მითითებული რეკვიზიტები, პრეტენდენტმა წინადადების წარმოდგენისას ზემოაღნიშნულ დანართებთან ერთად უნდა ატვირთოს პრეტენდენტის რეკვიზიტები, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;

- წინადადების დაზუსტების წარმოსადგენად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განესაზღვრება არაუმეტეს 3 სამუშაო დღე.
- ნიმუშების წარმოსადგენად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პრეტენდენტს განესაზღვრება მხოლოდ 5 სამუშაო დღე.
- დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ კომისიის აპარატის წევრს მარიამ გოგუაძეს 599311919.

დანართი №1

შემტბორავი ფარის წინადადების ფასი (დღგ-ს გარეშე, ლარი) და ფასების ცხრილი

___ _____ _____
(შევსების თარიღი)

_____ აღნიშნულ საქონელს გთავაზობთ _____ (_____) ლარად.

(პრეტენდენტის დასახელება) (თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
I	II	III	IV	V	VI
1	შემტბორავი ფარი - სიგანე - 200 სმ, ფარის სიმაღლე - 160 სმ და ფარის სიმაღლე ჩარჩოს ჩათვლით - 380 სმ	ცალი	1		
2	შემტბორავი ფარი - სიგანე - 300 სმ, ფარის სიმაღლე - 120 სმ და ფარის სიმაღლე ჩარჩოს ჩათვლით - 420 სმ	ცალი	2		

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დანართი №2

საქონლის მიწოდების გრაფიკი და ადგილი

№	საქონლის დასახელება	განზ	რაოდენობა	საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადა და ადგილი
I	II	III	IV	V
1	შემტბორავი ფარი - სიგანე - 200 სმ, ფარის სიმაღლე - 160 სმ და ფარის სიმაღლე ჩარჩოს ჩათვლით - 380 სმ	ცალი	1	მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ფონიჭალა, რუსთავის გზატკ. N26 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.
2	შემტბორავი ფარი - სიგანე - 300 სმ, ფარის სიმაღლე - 120 სმ და ფარის სიმაღლე ჩარჩოს ჩათვლით - 420 სმ	ცალი	2	

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ანგარიშსწორების პირობები და ვადები

_____ _____

(პრეტენდენტის დასახელება) (შევსების თარიღი)

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.
- ანგარიშსწორება განხორციელდება არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ტექნიკური პირობები

№	საქონლის დასახელება	დოკუმენტაციით განსაზღვრული საქონლის ტექნიკური პარამეტრები	საქონლის წარმოშობის ქვეყანა, კომპანია
I	II	III	IV
1	შემტბორავი ფარი - სიგანე - 200 სმ, ფარის სიმაღლე - 160 სმ და ფარის სიმაღლე ჩარჩოს ჩათვლით - 380 სმ	Затворы плоские поверхностные скользящие, Серия 3.820.2-37-ის მისადაგებით, ამწევი მექანიზმის ღეროს დიამეტრი - 70 მმ. ამწევი მექანიზმი - მექანიკური, ხელის რედუქტორით.	
2	შემტბორავი ფარი - სიგანე - 300 სმ, ფარის სიმაღლე - 120 სმ და ფარის სიმაღლე ჩარჩოს ჩათვლით - 420 სმ	Затворы плоские поверхностные скользящие, Серия 3.820.2-37-ის მისადაგებით, ამწევი მექანიზმის ღეროს დიამეტრი - 70 მმ. ამწევი მექანიზმი - მექანიკური, ხელის რედუქტორით.	

საორიენტაციო ნახაზი თან ერთვის დანართ N4-ს.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

ხედი A; არსებული



ხედი A; საპროექტო



						სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ძველი ანაბის სატუმბო სადგურთან შემტბორავი კედლის მოწყობის დამატებითი სამუშაოები	
თანამდებ.		გვარი		ხელმოწ.	თარ.		
განყ. უფროსი		მ. ბოსტაშვილი				სახიდე გადასასვლელის კონსტრუქცია	სტადია / ფურც. №
ჯგ. უფროსი		ა. პრედეინი					მ.პ. / 2
მთ. ინჟინერი		ნ. უგლავა					შ.პ.ს. "საქართველოს მელიორაცია"
შეასრულა		ი. პაპასკირი					

კვანძი 1



ჭრილი 1-1



საანკერე ღერო - Ø14 - 7.62 კგ

შემტბორავი ფარი მექანიკური ამძრავით - ПС 300X120x420

(Серия 3.820.2-37 Затворы плоские поверхностные скользящие)



შემტბორავი ფარი მექანიკური ამძრავით - ПС 200X160x380

(Серия 3.820.2-37 Затворы плоские поверхностные скользящие)



						სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ძველი ანაგის სატუმბო სადგურთან შემტბორავი კედლის მოწყობის დამატებითი სამუშაოები	
თანამდებ.		გვარი		ხელმოწ.	თარ.		
განყ. უფროსი		მ. ბოსტაშვილი				კვანძი 1; შემტბორავი ფარები	სტადია: მ.პ.
ჯგ. უფროსი		ა. პრედეინი					ფურც. №: 3
მთ. ინჟინერი		ნ. უგლავა					შ.პ.ს. "საქართველოს მელიორაცია"
შეასრულა		ი. პაპასკირი					

საგარანტიო პირობა და ვადა

მიმწოდებელი იღებს გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, შეესაბამება ამ საქონლისათვის დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს და შეესაბამება ამ დოკუმენტაციის დანართი N4-ით გათვალისწინებულ ტექნიკურ პარამეტრებს.
მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონლის შეცვლა ან შკეთება განახორციელოს არაუმეტეს ერთი კალენდარული კვირის ვადაში.
მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული საგარანტიო ვადა შეადგენს საქონლის მიწოდების შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან - --------- თვეს.*

***შენიშვნა**:
მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს საქონლის მიწოდების შესახებ შედგენილი დოკუმენტის (მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების თარიღიდან - არანაკლებ 5 (ხუთი) წელი.

_____ _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

ერთის მხრივ, _____ (მის: თბილისი, _____), წარმოდგენილი - მისი _____ სახით (შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

_____ (იურიდიული მის: _____ _____) წარმოდგენილი - მისი _____ სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

_____ მოთხოვნათა შესაბამისად, შემსყიდველმა გამოაცხადა შესყიდვის ელექტრონული პროცედურა _____ შესყიდვაზე, რომელშიც, კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება შემდეგ თანხაზე: _____ (_____) ლარი (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება")

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაში (GEO_____)

2.3. "ხელშეკრულება შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 2,2 პუნქტში მითითებული, შესყიდივს ელექტრონულ პროცედურაში წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

2.3.1. ფასების ცხრილი (დანართი №1).

2.3.2. საქონლის მიწოდების გრაფიკი და ადგილი (დანართი №2).

2.3.3. ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №3).

2.3.4. ტექნიკური პირობები (დანართი №4).

2.3.5. საგარანტიო პირობები და ვადები (დანართი №5).

2.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს _____, (შემდგომში "საქონელი"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: ----------.

3.3. მისაწოდებელი საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის შესაბამისად (დანართი №1).

3.4. შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: _____ _____ (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი")

4.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

4.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დაცვას;

4.3.2. დაადგინოს მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

4.3.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

5. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის მიწოდება განახორციელოს საქონლის მიწოდების გრაფიკისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №2).

5.2. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯით;

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

6.5. საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №3).

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება საქონლის ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

8.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მიწოდებულ საქონელზე, საგარანტიო პირობისა და ვადების შესაბამისად (დანართი №5).

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (თუ დანართი №5-ით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული) განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.4. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- **9.1.1.** მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
- **9.1.2.** ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
- **9.1.3.** 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

- **9.2.1.** მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- **9.2.2.** მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- **9.2.3.** მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას.
- **9.2.4.** მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- **9.2.5.** შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

10.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

- **10.4.1.** თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.
- **10.4.2.** ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.
- **10.4.3.** ხელშეკრულების 10.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის ----------.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს _____	_____
_____-	მის: _____
ტელ: (_____.	ტელ: (995 32) _____.
სს _____	_____
ა/ა _____; ბანკის კოდი: _____	ა/ა _____; ბანკის კოდი: _____
საიდენტიფიკაციო კოდი: _____	საიდენტიფიკაციო კოდი: _ _____